



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
„ბიზნესის ადმინისტრირება“

ქუთაისი  
2012

**1. პროგრამის დასახელება:** ჟურნალისტიკა

**2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:**

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში  
Magister of Social Sciences in Journalism

**3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 ECTS კრედიტი

**4. პროგრამის ხელმძღვანელი:** ნანა შენგელია. ასოცირებული პროფესორი

ტ. 893 941 755

gikanana@yahoo.com

**5. სწავლების ენა:** ქართული.

**6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია რეგიონული ჟურნალისტიკის განვითარებაზე, რეგიონში არსებულ მედიასაშუალებებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატდამთავრებულთათვის. შესაბამისად, პროგრამის მიზანია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს გამოუმუშავოს ჟურნალისტიკისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მოამზადოს როგორც მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, რაც ქართულ მედიას და განსაკუთრებით იმერეთის რეგიონულ მედიას, შემატებს განათლებულ, პროფესიული ჩვევების თვალსაზრისით კარგად მომზადებულ, კონკურენტუნარიან კადრს.

შემოთავაზებული პროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- მაგისტრების მომზადება ჟურნალისტიკის სპეციალიზაციით; მათი ცოდნის გაღრმავება და გამდიდრება თანამედროვე უცხოური და ქართული ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.
- მაგისტრები შეისწავლიან ჟურნალისტიკის მენეჯმენტს, თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ყოფის აქტუალურ საკითხებს, მოვლენების ანალიზის ფორმებსა და საკითხისადმი პროფესიული მიდგომის მეთოდებს.

**დასაქმების სფეროები:**

კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ნებისმიერი სახის მედიაორგანიზაციაში (მათ შორის ინტერნეტმედიაშიც).

უკანასკნელ თვეებში განხორციელებული რეფორმების შედეგად ქუთაისში რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტის გადმოტანა ზრდის (მათ შორის პარლამენტი, კონტროლის პალატა, მარეგულირებელი კომისია, საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, აშენდა მთავრობის სახლი) რეგიონულ მედიაში კურსდამთავრებულების დასაქმების პერსპექტივას.

სამაგისტრო პროგრამა ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის ბაზრის ათვისებისათვის მნიშვნელოვანია.

მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, გამომცემლობებში, ტელე-რადიო კომპანიებში, საინფორმაციო სააგენტოებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში, სახელმწიფო, არასამთავრობო, კერძო სტრუქტურებში, აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ სასწავლო და კვლევით დაწესებულებებში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხის, ასევე ტელეკომპანიების „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“ და „რუსთავი 2“-ის ფილიალების დაარსება ქუთაისში წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

გარდა ამისა, მაგისტრატურის დასრულების შემდეგ სტუდენტს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე-დოქტორანტურაში.

**7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერი პირი, რომელიც ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში.

**8. სწავლის შედეგი:**

## **ცოდნა და გაცნობიერება**

ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების შესახებ, როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან.

აცნობიერებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; მედიისა და მედიამკვლევარის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებაში.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:-შეუძლია**

- ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ტექსტის სტრუქტურირება, მიზნის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის ტექსტის შექმნა;
- შემოქმედებით მუშაობა სხვადასხვა ფორმებით-წერილობით, ზეპირი, ხმასთან და გამოსახულებასთან;
- დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობა კვლევების წარმოებისას;
- მედიის სხვადასხვა სახის დასაფუძნებლად განახორციელოს კვლევითი პროექტების და მედიისა და კომუნიკაციის სფეროში პროექტების დამოუკიდებლად მართვა;
- ანალიტიკური მასალის მომზადება და მედიაკრიტიკა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მართვა, მედიაკამპანიის დაგეგმვა და განხორციელება;
- შეუძლია წარმატებული სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა;
- ვებტექნოლოგიების გამოყენებით ინტერნეტრადიოს, ინტერნეტტელევიზიის, ინტერნეტგაზეთისა და ჟურნალის დაფუძნება.

### **დასკვნის უნარი:-შეუძლია**

რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; აქვს დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოსახება პრობლემების და ამოცანების შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გამოყენებაში.

### **კომუნიკაციის უნარი:**

- რესპონდენტებთან კორექტული ურთიერთობების დამყარება;
- დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და ეფექტურად გამოხატვა;
- კრიტიკული აზრის საფუძვლიანად გამოთქმა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება

### **სწავლის უნარი:**

შეუძლია სხვადასხვა წყაროდან დამოუკიდებლად ინფორმაციის მოპოვება; საკუთარი დროის ოპტიმალური განაწილება; პრიორიტეტების დამოუკიდებლად დასახვა და გეგმის თანმიმდევრული მიყოლა; აქვს ლიტერატურაზე სიღრმისეული მუშაობის ჩვევები; შეუძლია სასწავლო პროცესის კრიტიკული ანალიზი და შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენა.

### **ღირებულებები**

პროგრამის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება პროფესიული შეგნება და თვითშეგნება, ობიექტურობა და პრინციპულობა; პრაქტიკულ მუშაობაში მაგისტრები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დაცვა.

## **9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

### **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი**

- სალექციო მასალის ვიზუალური პრეზენტაცია და ვერბალური განმარტება, დისკუსია.

### **წერიითი მუშაობის მეთოდი:**

- სტუდენტების მიერ პრაქტიკული დავალებების (ნიუსების), სტატიების, ინტერვიუების, რეპორტაჟების შესრულება და აუდიტორიაში წაკითხვა და განხილვა
- ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, თეზისების შედგენა, რეფერატის შესრულება.

### **ახსნა-განმარტებითი მეთოდი:**

- მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ და დაწვრილებით განხილვა მოცემული თემის ფარგლებში.
- პროფესორის მიერ კონკრეტული მაგალითის მოხმობის საფუძველზე, ხდება დაწვრილებითი განხილვა მოცემული თემის ფარგლებში

### **ჯგუფური (collaborative) მუშაობა:**

- სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და ეძლევათ სასწავლო დავალებები;
- საკითხის ინდივიდუალურად დამუშავება და პარალელურად ჯგუფის დანარჩენი წევრებისათვის გაზიარება;
- სასწავლო პროცესში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის ფუნქციების გადანაწილების სტრატეგია.

#### **დემონსტრირების მეთოდი:**

ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენა ეფექტურ შედეგს იძლევა. სასურველია ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით სტუდენტისათვის მასალის მიწოდება. დემონსტრირება ხდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ.

#### **შემთხვევის ანალიზი (Case study):**

კონკრეტული შემთხვევის განხილვა, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლა.

#### **როლური და სიტუაციური თამაშები:**

- სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება ალტერნატიული პოზიციის ჩამოყალიბებაში და მის დაცვაში.
- თოქშოუსა და ინტერვიუების ფორმით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. დისკუსია, როლური თამაშები უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

#### **10. მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია მაგისტრანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. მაგისტრანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

- ა) შუალედურ შეფასებას;
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, თუ მას შუალედურ შეფასებებზე მინიმუმ 11 ქულა აქვს.

კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება მეტია 51- ზე

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. მაგისტრს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში მაგისტრის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

**11. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:** უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრი.

პროგრამას განხორციელებს აწსუ-ს აკადემიური პერსონალი:

- გ. ქობალიანი – ასოცირებული პროფესორი
- ე. თხილავა – ასოცირებული პროფესორი
- ნ. შენგელია - ასოცირებული პროფესორი
- ნ. ჯიქია - ასოცირებული პროფესორი
- მ. თადუმაძე - ასოცირებული პროფესორი
- ნ. ტაბიძე – პროფესორი; განსაკუთრებული რანგის მეცნიერი
- ე. ფხაკაძე – ტელეკომპანია “იმედის” ჟურნალისტი
- ა. ბუცხრიკიძე - ასოცირებული პროფესორი
- ს. კუპრაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- მ. ჩიტეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
- ი. იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
- ქ. ბერძენიშვილი – რადიოკომპანია ”ბეელი ქალაქის” დირექტორი
- ნ. მუშკუდიანი – სრული პროფესორი

**12. სასწავლო გეგმა:**

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ-საათი კვირაში; ლ/ჯგ.მუშ./დამ.მუშ.-ლექცია/ჯგუფისი მუშაობა/დამოუკიდებელი მუშაობა.

5 კრედიტი-125 საათი;

პროგრამის სავალდებულო კურსები-65 კრედიტი;

პრაქტიკა ელექტრო

ნულ მედიაში-10 კრედიტი;

პროგრამის არჩევითი კურსები-15 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი-30 კრედიტი;

სულ: 120 კრედიტი.

№	საგნის დასახელება	სკ	ლ./ჯგ.მუშ./დამ.მუშ.	კრედიტი	კრედიტების განაწილება			
					სემესტრი			
					I	II	III	IV
	<b>სავალდებულო კურსები</b>							
1	სოციოლოგიური კვლევები	3	24/12/3/86	5	5			
2	სამოქალაქო ჟურნალისტიკა	3	24/12/3/86	5	5			
3	ჟურნალისტიკა და პოლიტიკა	3	30/15/3/77	5		5		
4	საგამომიებო ჟურნალისტიკა	3	30/15/3/77	5			5	
5	მედია კვლევები	3	24/12/3/86	5	5			
6	თანამედროვე მედიის მენეჯმენტი	3	30/15/3/77	5			5	
7	ვერბალური კომუნიკაცია	3	24/12/3/86	5	5			
8	პუბლიცისტური ტექსტის კომპოზიცია	3	30/15/3/77	5		5		
9	პიარკამპანის მენეჯმენტი	3	24/12/3/86	5	5			
10	სოციალური საკითხების გაშუქება	3	30/15/3/77	5			5	
11	სარეკლამო კომუნიკაცია და ტექნოლოგია	3	30/15/3/77	5			5	
12	სამაუწყებლო ახალი ამბები	3	30/15/3/77	5		5		
13	რეპორტაჟი და ინტერვიუს ტექნიკა	3	30/15/3/77	5		5		
14	პრაქტიკა 1- ტელერეპორტაჟის მომზადება		84/1/165	5		5		
15	პრაქტიკა 2 - რადიო-ანალიტიკური გადაცემა		84/1/165	5			5	

16	სამაგისტრო ნაშრომი			30				30
	<b>არჩევითი საგნები</b>							
	თავისუფალი კრედიტები (15კრედიტი)*	15	30/15/3/77	5	5	5	5	
	<b>ს უ ლ</b>			1 2 0				

× თითოეულ სემესტრში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს 1 ხუთკრედიტიანი საგანი ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის კურსკულუმიდან